

ნაირა ვირსალაძე  
ეპონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და  
აკადი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ვილონ ჭავითშვილიანი

გეოგრაფიის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის  
და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისასოცირებული პროფესორი

# ენერგონეტიკული მისამართის და მოწვევების დინამიკა საქართველოში

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის პირველი ადგილი ჰიდროენერგოსურსებს უჭირავს. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დათვლილია 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძედაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, შეადგენს 96,5 კმ<sup>3</sup>-ს. მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 ათასი მეგავატის ექვივალენტზე რია, ხოლო საშუალო წლიური ენერგია 50 მლრდ. კვტ. საათის ექვივალენტზე რია. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი მისი ფართის გათვალისწინებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე.

XX საუკუნის ოციანი წლებიდან ჩვენს ქმედიაში სწრაფი ტექნიკური დაიწყო პიდროელექტროსადგურების მშენებლობა. 1927 წელს აშენდა ავჭალის პიდროელექტროსადგური ზაჟესი (რომლის სიმძლავრე შეადგენდა 36,8 ათ.კვტ-ს). 1928 წელს აშენდა აბჟესი, 1934 წელს - რიონჰესი. ელექტროსადგურების პარალელურად შენდებოდა 110 კვტ. ელექტრო გადამცემი ხაზი ზაჟესი-რიონჰესი. ზაჟესის, რიონჰესისა და აბჟესის პარალელური მუშაობის ორგანიზება მოხდა 1934 წელს, რითაც დასაბამი მიეცა საქართველოს ენერგოსისტების შექმნას. ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების ზრდამ საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში არსებული ქვანახშირის საბადოების ფართომასშტაბიან დამუშავებას და ობოედისტროსადგურების მშენებლობას.

საქართველოში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა განეხორციელებინათ ისეთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტება და მშენებლობა, როგორიცაა "ენგურეჟესი". იგი ექსპლოატაციაში შევიდა 1978 წელს, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენდა 1 300 მგვტ-ს, ხოლო საშუალო წლიური გამომუშავება 3,5 მლრდ.კვტ.სთ-ს.

საქართველოს ენერგოსისტემაში დამოუკიდებლად არსებობა 1990-იან წლებიდან დაიწყო. ეს იყო საქმაოდ როგორი პერიოდი, როდესაც დაირღვა არსებული კავშირები და სტრუქტურები, ურთიერობის დისციპლინა. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის პარალელურად ყალიბდებოდა დამოუკიდებელი ელექტროენერგეტიკული სისტემა, რომლის მთავარი ამოცანა იყო ენერგიით ქვენის უწყვეტი მომარაგების მიღწევა. თუმცა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ელექტროენერგეტიკული სექტორი საქართველოს მოსახლეობის დიდი უკმაყოფილების სფეროდ რჩებოდა.

დღეისათვის საქართველოში მოხსნილია ელექტროენერგიის დეფიციტი და ენერგიით ქვეყნის მომარაგების პრობლემა. ესკოს ფუნქციური და საკადრო რესურსის მონაწილეობით, საქართველო გვევლინება ელექტროენერგიის ექსპორტიორ ქვეყნად, ხოლო ქართული ელექტროენერგეტიკული სისტემა ქვეყნის ეკონომიკისათვის ფართო სამომავლო პერსპექტივების მქონე სფეროა. ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგიის მოთხოვნა-მიწოდებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ენერგობალანსი (იხ. ცხრილი 1 და 2).

### ცხრილი 1.

#### ელექტროენერგიის მიწოდება 2006-2011 წლებში (მლნ.კვტ.სთ.)

წლები	2006	2007	2008	2009	2010	2011 (11 ოქ)
გამომუშავება	2757.3	8345.7	8450.5	8407.7	10057.6	9261.1
თბოსადგური	944.3	1514.5	1281.5	990.7	682.8	1869.0
ჰიდროსადგური	1812.7	6831.2	7169.0	7417.0	9374.9	7392.1
მ.შ.მარეგულირებელი	1130.8	4508.1	4997.8	4737.5	6525.4	4895.8
მ.შ. სეზონური	660.6	2215.5	2044.9	2421.3	2532.5	2226.4
მ.შ. დერეგულირებული	21.3	107.5	126.3	258.2	317.0	269.9
იმპორტი	60.1	433.3	649.0	254.8	222.1	331.9
სულ რესურსი	2817.3	8778.9	9099.5	8662.5	10279.7	9593.1
სასადგურებული და ს/გ	72.3	175.7	169.3	129.6	136.6	170.1
ქსელში მიწოდება	2745.0	8603.2	8930.3	8532.9	10143.2	9423.0


წყარო: [www.esco.ge](http://www.esco.ge)

1-ლი ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდება 2006-2011 წლებში ხასიათდება მზარდი დინამიურობით. 2006 წელთან შედარებით 2010 წელში ელექტროენერგიის გამომუშავება (მიწოდება) 2757.3 მლნ კლვტ სთ-დან გაიზარდა 10 057.6 მლნ კლვტ სთ-მდე. საერთო გამომუშავების აბსოლუტური მატება მოხდა 7300.3 მლნ.კლვტ.სთ-ით, ანუ 3.6-ჯერ. თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის მოცულობამ შეადგინა 682.8 მლნ.კლვტ.სთ, ანუ საერთო გამომუშავების 6,8 პროცენტი. ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა იმავე პერიოდში გაიზარდა 5.2-ჯერ, ხოლო მისი ხვედრითი წილი საერთო გამოშვებაში 65.7%-დან 93.2%-მდე.

ენერგეტიკა საქართველოს პრიორიტეტულ დარგად არის მიჩნეული. 2011 წელს საქართველოს ენერგოსისტემის გამომუშავებამ 10,080 მილიარდ კვტ.საათი შეადგინა. ამ პერიოდში საქართველომ ექსპორტზე ოთხივე მეზობელი ქვეყნის მიმართულებით 925,7 მილიონი კვტ.საათის ოდენობის ელექტროენერგია გაიტანა. ამასთან, წლის განმავლობაში ქვეყანაში 502,3 მილიონი კვტ.საათის იმპორტი განხორციელდა. მისი მოცულობა 2006-2010 წლებში 60.1-დან გაიზარდა 222.1 მლნ კლვტ სთ-მდე. ანუ 4-ჯერ. ხოლო 2011 წლის 11 ოქტომბერის მიხედვით 5.5-ჯერ.

6ახ. 1.

ელექტროენერგიის 2004-2010წწ ფაქტური ბალანსი



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2011 წლის მესამე კვარტლში, საქართველოში სულ 266 მლნ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. აქედან, ენერგეტიკაში 86,1 მლნ აშშ დოლარი ჩაიღო, რაც 2010 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება. ელექტროენერგიის ფაქტური ბალანსი თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი 1-ლ ნახაზზე.

ასევე საინტერესო საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების დინამიკა, №2 ცხრილიდან ჩანს, რომ ელექტროენერგიის მომხმარებლებზე მიწოდება 2006-2010 წლებში გაიზარდა 3.2 -ჯერ, ანუ აბსოლუტურმა ზრდამ შეადგინა 5825.1 მლნ.კვტ სთ.

ცხრილი 2

ელექტროენერგიის მოხმარება (მლნ.კვტ სთ)

წლები	2006	2007	2008	2009	2010	2011(11-თვე)
მომხმარებლებზე მიწოდება	2616.9	7815.4	8074.8	7642.1	8442.0	8329.2

მ.შ. სადისტრიბუციო კომ.	1982.8	5802.4	6014.1	5930.7	6361.5	6633.3
მ. შ. პირდაპირი მომხმარებელი	634.1	2013.0	2060.7	1711.3	2080.5	1695.9
მ.შ. გაჩერ. ელ. სადგურ. ს/გ.	2.4	5.4	9.5	11.8	13.2	30.6
ექსპორტი	61.8	625.5	679.6	749.4	1524.3	914.6
სულ მოხმარება	2678.7	8440.9	8754.4	8391.5	9984.3	9243.8
ტრანსპორტირების ხარჯი	66.3	162.3	175.9	141.4	176.9	179.2
სულ მოთხოვნა კარგვების გათვალისწინებით	2745.0	8603.2	8930.3	8532.9	10143.2	9423.0

წყარო: [www.esco.ge](http://www.esco.ge)


იმავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერგიის ექსპორტი (61.8 მლნ. კვტ სთ-დან 1524.3 მლნ. კვტ სთ-დე ანუ 25-ჯერ), განსაკუთრებით გაიზარდა ელექტროენერგიის ექსპორტის მოცულობა თურქეთში, სომხეთში, გამომუშავებული, მოხმარებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის შესახებ ციფრობრივი მასალა თვალსაზრისით სახით წარმოდგენილია მე-2 ნახაზზე.

როგორც ვიცით, საქართველოს მდინარეებს ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული სეზონურობა, ამიტომ რესურსების გადანაწილება შესაძლებელია მხოლოდ მარეგულირებელი წყალსაცავიანი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით. თუმცა ეკოლოგიური თვალსაზრისით ასეთების მშენებლობა გართულებულია, ამიტომ ძირითადი აქცენტი კეთდება მცირე წყალსაცავიანი ჰიდროსადგურების მშენებლობაზე.

საქართველოში სახელმწიფო პროგრამით წარმოდგენილია ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების სია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის გაფორმებულია მემორანდუმები ისეთი პროექტების განხორციელებაზე, როგორიცაა: ხუდონკესი - 750 მგვტ დადგმული სიმძლავრით და 1.5 მლრდ კვტ. სთ ელექტროენერგიის გამომუშავებით; ნამანხვანკესების კასკადი დადგმული სიმძლავრით - 450 მგვტ, გამომუშავება 1670 მლნ კვტ.სთ;

6ახ. 2.

ელექტროენერგიის მომხმარებლებზე მიწოდება 2004-2010 წთ



ფარავანპესი - დადგმული სიმძლავრე 78 მგვტ, გამომუშავება 425 მლნ კვტ სთ; პიდროელექტროსადგურების კასკადი მდინარეებზე: ჭოროხისწყალი, ლუხუნი, ტეხურა, გუბაზეული, მტკვარი, ბახვისწყალი და სხვა, ჯამში აშენდება 21 პიდროელექტროსადგური დადგმული სიმძლავრით 1 583 მგვტ. 5.5 მლრდ კვტ. სთ ელექტროენერგიის გამომუშავებით.

### ცხრილი 3.

#### ელექტროენერგიის იმპორტ—ექსპორტის სტატისტიკა 2006–2010 წწ (მდგრ. კვტ სთ)

წლები	2006	2007	2008	2009	2010
იმპორტი თურქეთიდან	31.762	149.0	54.3	-	0.00014
ექსპორტი თურქეთში	-31.53	-215.6	-216.0	-182.3	-303.366
იმპორტი აზერბაიჯანიდან	15.523	107.4	34.6	31.5	10.138
ექსპორტი აზერბაიჯანში	-29.986	-109.6	-30.9	-21.5	-14.344

იმპორტი სომხეთიდან	-	-	-	0.04	-
ექსპორტი სომხეთში	-	-	-	-19.8	-89.447
იმპორტი რუსეთიდან	12.802	176.8	560.1	223.3	211.937
ექსპორტი რუსეთში	-0.568	-300.2	-432.7	-525.8	-1117.123
იმპორტი სულ:	60.087	433.3	649	254.8	222.075
ექსპორტი სულ:	-61.807	-625.5	-679.6	-749.4	-1524.280

წყარო: [www.esco.ge](http://www.esco.ge).

განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა შეადგენს 2,4 მლრდ. აშშ დოლარს. ბოლო პერიოდში წიაღისეული ენერგორესურსების შემცირების ფონზე აქტუალური გახდა ქარის, მზის გეოთერმული წყლების, ბიოგაზისა და სხვა ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროების გამოყენება ელექტროენერგიის წარმოებისა და სხვა პრაქტიკული დანიშნულებისათვის. საქართველოს გააჩნია ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის საშუალო წლიური რაოდენობა 4 მლრდ კვტ.სთ-მდე არის შეფასებული. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მზის ეფექტური და ხანგრძლივი გამოსხივება საკმაოდ მაღალია. მზის ენერგიის სრული წლიური პოტენციალი საქართველოში შეფასებულია 108 მვტ-ით, რაც წლიურად 34 ათასი ტ. პირობითი სათბობის ექვივალენტურია.

აღნიშნული ენერგიის წყაროების მაქსიმალური გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას. ამასთან ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ხელს შეუწყობს ამ სექტორში დამატებით ინვესტიციებს მოზიდვას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- უძლება ნ., საქართველოს წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება სახალხო მეცნეობაში. ობ., 1977.
- ვირსალაძე ნ., ბაკურაძე ა. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესში. აშშ. ქუთაისი, 2009.
- [www.esco.ge](http://www.esco.ge)